

**რევაზ გოგნიაშვილის პირადი საარქივო ფონდი.**

**ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მორეაქციონის ამსახველი მასალა.**

1. რევაზ დიმიტრის ძე გოგნიაშვილის ავტობიოგრაფია.  
1944 წ. 25 სექტემბერი. ქ. თბილისი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
2. რ. გოგნიაშვილის განცხადება ოპერის თეატრის დირექციისადმი, თეატრში მუსიკალური სცენარისტის ადგილზე მიღების შესახებ.  
1921 წ. 30 ივლისი ვტოგრაფი. რუსულ ენაზე. მწვანე მელანი. 1 გვ.
3. სახელმწიფო ოპერის თეატრის ბრძანება რევაზ გოგნიაშვილის 1921 წლის 1 აგვისტოდან სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. ხელს აწერენ სახ. ოპერის თეატრის გამგე – პ. დადვამე. საქმის მწარმოებელი – თეთრაზე.  
1921 წ. აგვისტო. ნაბეჭდი. 1 გვ.
4. გოგნიაშვილის თხოვნა სამუსიკო სეციის გამგისადმი, ოპერა „ქრისტინეს“ დადგმისთვის ოპერის თეატრის დროებით დათმობის შესახებ. (მასალას ერთვის სამუსიკო სექციის გამგის – მ. ბალანჩივადისა და კოლეგიის გამგის – გ. საყვარელიძის თანხმობის რეზოლუცია).  
1921 წ. 27 ოქტომბერი. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. წითელი და მწვანე მელანი. 1 გვ.
5. სათეატრო სექციის გამგის – ალ. ახმეტელისა და ხელოვნების კომიტეტის გამგის – ო. ჯიბლაძის განცხადება ოპერის თეატრის გამგე – პ. დადვადისადმი, რ. გოგნიაშვილის ოპერა – „ქრისტინეს“ ოპერის თეატრში დადგმის შესახებ. ხელს აწერენ სათეატრო სეციის გამგე – ალ. ახმეტელი, ხელოვნების კომიტეტის გამგე – ო. ჯიბლაძე.  
1921 წ. 26 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.
6. ამონაწერი მთავარ სახელოვნო კომიტეტის სხდომის ოქმიდან 1921 წლის 5 დეკემბერს ოპერა – „ქრისტინეს“ სახელმწიფო ოპერის თეატრის რეპერტუარში შეტანის შესახებ.  
სხდომის წევრნი: გრ. რობაქიძე, გ. რცხილაძე, ი. ნიკოლაძე, ალ. წუწუნავა, გ. გრინვესკი, გ. საყვარელიძე, ვ. გაფრინდაშვილი, მ. ბალანჩივადე, შ. აფხაიძე.  
1921 წ. 5 დეკემბერი. ნაბეჭდი. 2 გვ. (2 ეგზ).
7. ამონაწერი მთავარ სახელოვნო კომიტეტის სხდომის ოქმიდან 1921 წლის 5 დეკემბერს ოპერა „ქრისტინეს“ სახელმწიფო ოპერის თეატრის რეპერტუარში შეტანის შესახებ. მასალას ერთვის მთავარი სახელოვნო კომიტეტის რეზოლუცია ოპერა „ქრისტინეს“ რეპერტუარიდან ამოშლის შესახებ. სხდომის წევრნი: გრ. რობაქიძე, გ. რცხილაძე, ი. ნიკოლაძე, ალ. წუწუნავა, გ. გრინვესკი, გ. საყვარელიძე, ვ. გაფრინდაშვილი, მ. ბალანჩივადე, შ. აფხაიძე. ხელს აწერს მთ. სახელოვნო კომიტეტის მდივანი – შ. აფხაიძე.  
1921 წ. 5, 12 დეკემბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.
8. სამუსიკო სექციის გამგის – მ. ბალანჩივადისა და მთავარი სახელოვნო კომიტეტის მდივნის – შ. აფხაიძის განცხადება. ოპერის თეატრის გამგე – პ. დადვადისადმი, მთავარი სახელოვნო კომიტეტის სხდომიდან ამონაწერის გაგზავნის შესახებ. ხელს

აწერენ: სამუსიკო საქციის გმგე – მ. ბალანჩივაძე, მთ. სახელოვნო კომიტეტის მდივანი – შ. აფხაიძე.

1921 წ. 6 დეკემბერი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

9. სახელმწიფო ოპერის თეატრის გამგის – პ. დადვამის განცხადება მთავარი სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარისადმი, ოპერა „ქრისტინეს“ თეატრის დადგმის შესახებ.  
1921 წ. 6 დეკემბერი. ნაბეჭდი. 2 გვ.
10. მთავარი სახელოვნო კომიტეტის მდივნის – შ. აფხაიძის განცხადება სახელმწიფო ოპერის თეატრის გამგისადმი, რ. გოგნიაშვილის ოპერა „ქრისტინეს“ რეპერტუარიდან მოხსნის შესახებ. ხელს აწერს მთ.სახელოვნო კომიტეტის მდივანი – შ. აფხაიძე.  
1921 წ. 12 დეკემბერი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

#### **შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსხველი მასალა.**

11. რევაზ გოგნიაშვილის ოპერა „ქრისტინე“. პარტიტურა.  
1918 წ. ავტოგრაფი. მელანი. დზიანებული. 192 გვ.
12. რ. გოგნიაშვილის ოპერა „ქრისტინე“. სცენარი. მეოთხე მოქმედება. (მიკიტინის როლი).  
უთარილო. ხელნაწერი. მელანი. 6 გვ.
13. რ. გოგნიაშვილის ოპერა „ქრისტინე“. სცენარი. პირველი მოქმედება. (მაიას როლი).  
უთარილო. ხელნაწერი. მელანი. 4 გვ.
14. რ. გოგნიაშვილის ოპერა „ჯადოსანი“. პარტიტურა.  
1919 წ. 29 ნოემბერი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. დაზიანებული. 209 გვ.
15. რ. გოგნიაშვილის ოპერა „ჯადოსანი“. (ფრაგმენტები I, II და III მოქმედებიდან).  
ხელნაწერი. მელანი. 123 გვ.
16. რ. გოგნიაშვილის ოპერა „ჯადოსანი“. (სიმებიანი ინსტრუმენტების საორკესტრო პარტიები).  
ხელნაწერი. მელანი. 135 გვ.
17. რ. გოგნიაშვილის ოპერა „ჯადოსანი“. (ჩასაბერი ინსტრუმენტების საორკესტრო პარტიები).  
ხელნაწერი. მელანი. 105 გვ.
18. რ. გოგნიაშვილის ოპერა „ჯადოსანი“. (საორკესტრო პარტიები.)  
ხელნაწერი. მელანი. 11 გვ.
19. რ. გოგნიაშვილის ხელნაწერი ნოტები: „რომანსი“, „ნანა“.  
ავტოგრაფი. ქართულ და რუსულ ენებზე. მელანი. 11 გვ.
20. რ. გოგნიაშვილის ხელნაწერი ნოტები: ქართული ცეკვა, სომხური ცეკვა, რუსული ცეკვა.  
ავტოგრაფი. ქართულ და რუსულ ენებზე. მელანი. 11 გვ.

**პროგრმა.**

21. რ. გოგნიაშვილის ოპერა „ქრისტინეს“ პროგრამა.  
უთარილო. ფოტოასლი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.